გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1036

უშიშროების საბჭო,
კვლავ ადასტურებს რა ყველა თავის შესაბამის რეზოლუციას, კერძოდ კი, 1995 წლის 12 მაისის 993 (1995) რეზოლუციას, განიხილა რა გენერალური მდივნის 1996 წლის 2 იანვრის მოხსენება, კვლავ ადასტურებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი ერთგულებას, ხაზს უსვამს რა გაეროს ეგიდითა და რუსეთის ფედერაციის დახმარებით მხარეების ძალისხმევის გააქტიურების საჭიროებას კონფლიქტის დროული და ყოველმხრივი პოლიტიკური მოწესრიგებისათვის, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრისათვის, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემის გათვალისწინებით,

აღნიშნავს რა, რომ 1995 წლის ნოემბერში საქართველოში ჩატარდა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, გამოთქვამს რწმენას, რომ იგი პოზიტიურ წვლილს შეიტანს აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევაში, კვლავ ადასტურებს კონფლიქტში ჩათრეული ყველა ლტოლვილისა და ადგილნაცვალი პირის უფლებას უსაფრთხო პირობებში დაუბრუნდნენ თავიანთ სახლებს, როგორც ამას საერთაშორისო სამართალი და ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ 1994 წლის 4 აპრილის ოთხმხრივი ხელშეკრულებების დებულებები ითვალისწინებენ, გამოთქვამს სინანულს იმის გამო, რომ აფხაზეთის ხელისუფალნი კვლავ ეწინააღმდეგებიან ასეთ დაბრუნებას, ღრმადაა შეშფოთებული ჰუმანიტარული სიტუაციის გაუარესებით, კერძოდ, გალის რაიონში, სადაც კვლავ არ არის უსაფრთხო პირობები,

ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს აგრეთვე აფხაზეთის მხარის კონტროლს დაქვემდებარებულ რაიონებში ძალადობისა და მკვლელობის იმ ფაქტების ზრდის გამო, რომლებიც მოყვანილია უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის 1996 წლის 8 იანვრის წერილში,
ითვალისწინებს აფხაზეთში, საქართველო, შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ბუდაპეშტის უმაღლესი დონის შეხვედრის დასკვნებს, კვლავ ადასტურებს, რომ მხარეებმა მკაცრად უნდა დაიცვან საერთაშორისო ჰუმანიტარუ-ლი სამართლის ნორმები,

აღნიშნავს, რომ ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულებას მხარეები ძირითადად იცავენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებისა და საქართველოში წარმოგზავნილ გაეროს დამკვირვებელთა მისიის ხელშეწყობით,

გამოთქვამს კმაყოფილებას გაეროს დამკვირვებელთა მისიისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების მჭიდრო თანამშრომლობისა და კოორდინაციის გამო შესაბამისი მანდატების განხორციელების საქმეში და მაღალ შეფასებას აძლევს მათ წვლილს კონფლიქტის ზონაში მდგომარეობის სტაბილიზაციის საქმეში, გამოთქვამს შეშფოთებას გაეროს დამკვირვებელთა მისიისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების პერსონალის დაცვისა და უსაფრთხოების გამო და ხაზს უსვამს, რომ საჭიროდ მიაჩნია ამ პერსონალის თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა,

აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მეთაურთა საბჭოს 1996 წლის 19 იანვრის მოსკოვის სხდომაზე განიხილავენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელების საკითხს,

1. მიესალმება გენერალური მდივნის 1996 წლის 2 იანვრის მოხსენებას,

2. გამოთქვამს თავის დიდ შეშფოთებას იმის გამო, რომ კვლავ ჩიხური სიტუაციაა აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების მიღწევის საქმეში,

3. ადასტურებს, რომ მთლიანად მხარს უჭერს გენერალური მდივნის ძალიხმევას კონფლიქტის ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევისათვის, მათ შორის აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის გადაწყვეტისათვის საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემის პირობებში, აგრეთვე მეცადინეობას, რომელსაც რუსეთის ფედერაცია ახორციელებს, როგორც ხელშემწყობი მხარე, კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზების გააქტიურებისათვის, და მოუწოდებს გენერალურ მდივანს განაგრძოს ძალისხმევა ამ მიზნით რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მხარდაჭერით,

4. მოუწოდებს მხარეებს, კერძოდ, აფხაზეთის მხარეს, შემდგომში ნუ გააჭიანურებენ არსებით პროგრესს ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების გზაზე და მოუწოდებს მათ მთლიანად დაუჭირონ მხარი ღონისძიებებს, რომლებსაც გენერალური მდივანი ახორციელებს რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, მხარდაჭერით,

5. მოითხოვს, რომ აფხაზეთის მხარემ არსებითად დააჩქაროს ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების პროცესი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის სამმართველოს მიერ შეთავაზებული გრაფიკის საფუძველზე გრაფიკის მიღების გზით, და კვლავაც მოითხოვს, რომ მან უზრუნველყოს ამ რაიონში უკვე მყოფ არაორგანიზებულ

რეპატრიანტთა უსაფრთხოება, და გადაწყვიტოს მათი სტატუსის საკითხი ოთხმხრივი შეთანხმების შესაბამისად,

6. მოუწოდებს აფხაზეთის მხარეს ამ კონტექსტით, როგორც პირველი ნაბიჯი, ხელი შეუწყოს ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნებას გალის რაიონში უსაფრთხოებისა და ღირსების პირობებში,

7. გმობს აფხაზეთში, საქართველო, ჩადენილ ეთნიკურ მკვლელობებს და ადამიანის უფლებათა დარღვევებს, რომლებიც გრძელდება და აფხაზურ მხარეს მოუწოდებს უზრუნველყოს მისი კონტროლის ქვეშ მყოფ რაიონებში ყველა პირის უსაფრთხოება.

8. მოუწოდებს მხარეებს უფრო აქტიურად ითანამშრომლონ გაეროს მეთვალყურეთა მისიასთან და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებთან ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დასაბრუნებლად უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფის მიზნით და აგრეთვე მოუწოდებს მათ დაიცვან ნაკისრი ვალდებულებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მთელი პერსონალის უსაფრთხოებისა და თავისუფალი გადაადგილების და გაეროს მეთვალყურეთა მისიის მიერ მძიმე შეიარაღების საწყობების ინსპექციის განხორციელების მიმართ,

9. მიესალმება გაეროს მეთვალყურეთა მისიისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების დამატებით ღონისძიებებს გალის რაიონში, რომელთა მიზანია ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა მოწესრიგებული დაბრუნების პირობების გაუმჯობესება, და ყველა შესაბამის ძალისხმევას ამ მიზნით,

10. მთლიანად მხარს უჭერს აფხაზეთში, საქართველო, ადამიანის უფლებათა დაცვისა და წახალისების კონკრეტული პროგრამის შემუშავებას, რომელიც მოცემულია გენერალური მდივნის 1996 წლის 2 იანვრის მოხსენებაში, და აფხაზთა ხელისუფლებს მოუწოდებს სრული მხარდაჭერა გაუწიონ ძალისხმევას ამ მიზნით,

11. ადგენს გაუგრძელდეს გაეროს მეთვალყურეთა მისიას მანდატი დამატებითი პერიოდით, რომელიც 1996 წლის 12 ივლისს მთავრდება, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების მანდატში ნებისმიერი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში გაეროს მეთვალყურეთა მისიის მანდატის საბჭოს მიერ განხილვის პირობებში.

12. კვლავ მოუწოდებს სახელმწიფოებს შეიტანონ სახსრები დამატებითი შენატანების ფონდში 1994 წლის 14 მაისს მოსკოვში ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ შეთანხმების გამხორციელების, და ჰუმანიტარული ასპექტების, მათ შორის განაღმვის განხორციელების ხელშესაწყობად, როგორც ამას დონორები განსაზღვრავენ,

13. სთხოვს გენერალურ მდივანს რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია საბჭოს, სამი თვის შემდეგ ამ რეზოლუციის მიღებიდან წარუდგინოს მას მოხსენება აფხაზეთში ვითარების ყველა ასპექტის, მათ შორის გაეროს მეთვალყურეთა მისიის ოპერაციების შესახებ.

14. ადგენს აქტიურად გააგრძელოს მუშაობა ამ საკითხებზე.

12 იანვარი, 1996